# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
გალავნის პროსპექტზე. ივ. მუხრანსკის სახლებ[ში] ... კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია[ში], ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას[...]თან ნილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [...] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



თბილისის თეატრი
დღეს, 21 ოკტომბერს
ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
I
ქარაფშუტა
კომედ. 3 მოქ. ფრანც. ა. მესხისაგან.
II
ცოცხალი სურათები
ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.


## ტელეგრამმები

(„კავკასიონის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 19 ღვინობისთვეს. „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ფრიდი დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსად.

პარიჟი გამბეტტა აირჩიეს დეპუტატთა პალატის დროებითი თავმჯდომარედ. თუთხმეტს ოქტომბერს სამხედრო კომისიის სხდომა იყო, რომელზედაც ბაასი ჰქონდათ სამხედრო სამინისტროის ორ დამოუკიდებელ ნაწილად გაყოფაზე. უმრავლესობის აზრი ეხლანდელ წესის დაცვისკენ არის.

პეტერბურღი, „ახალი დროება“ გვაცნობებს: ფინანსთ სამინისტრომ წინადადება შემოიტანა, რომ სასმელების საქმეზე სჯაში მონაწილეობა ნუ ექნებათო ქალაქების და ერობათა იმ ხმოსნებს, რომელთაც სასმელების დუქნებს აქვთო. ოლონეცის გუბერნიაში რევიზიის მოხდენას აპირებენ. რევიზორად ლოვლესკი დაინიშნებაო. თექვსმეტს ოქტომბერს ექსპერტებმა აღიარეს, რომ სახაზინო მიწების დიდრონ ნაკვეთებით დარიგება დაწესებულებათა და კერძო პირთა საკუთრებად სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგიაო. ეს მიწები უნდა იყოს გარდასახლებას ხელის-მომწყობ სამზადისადო.

პეტერბურღის ბირჟა, 19 ოკტომბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 | 75 |
| მეორესი — — — — | 92 | 37 |
| მესამესი — — — — | 93 | 56 |
| მეოთხესი — — — | 91 | 87 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90 | 37 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | 12 |
| ოქრო, $^{1}/_{2}$ იმპერიალი | 7 | 66 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 220 | „ |
| მეორე სესხის — — | 214 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 25 | 81 | პენსი |
| ბერლინი — | „ | „ | პფენიგი |
| გამბურღი — | 220 | 62 | ცენტი |
| პარიჟი — — | 272 | 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | — | — | |

## ახალი ამბები.

ამ დღეებში ჩვენ გვესტუმრა გამოჩენილი მოგზაური-ქალი კარლა სერენა, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინად იყო ჩვენში კავკასიის გასაცნობად და ასაწერად. როგორც თვითონ გვიამბო, მიზეზი ახლანდელ ამის მოგზაურობისა არის შემდეგი:

„გამოჩენილმა პარიჟის წიგნების-მბეჭდავმა ჰაშეტმა იკისრაო გამოცემა სურათებით ჩემი კავკასიაში მოგზაურობისა, რომელიც ადრე ჟურნალში *Le tour du Monde*-ში იყო დაბეჭდილიო. ზოგიერთ პირებს ვსთხოვე კახეთისა და აფხაზეთის სურათები და ტიპები გამოეგზავნათ ჩემთვის, მაგრამ რადგან არავინ არ შემისრულა ეს თხოვნა, მე თვითონ შევისწავლე მენაში ფოტოგრაფიის ხელობა, მინდა ხელ-მეორედ დავიარო ეს მხარეები და ადგილის მცხოვრებლებისა, მონასტრებისა და სხვ. სურათები ავიღოო.

ამის გამო ქალ. კარლა სერენა, ამ დღეებში აფხაზეთისაკენ აპირებს გამგზავრებას და იქიდამ დაბრუნების შემდეგ კახეთში წავა.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი სტუმართ-მოყვარე ხალხი ამ მხნე ქალს, რომელიც ასე თამამად მოგზაურობს მარტოთ-მარტო ჩვენს ქვეყანაში, ყოველ შემწეობას აღმოუჩენს იმას და ამით თავის ქვეყანასაც სარგებლობას მოუტანს, რადგან ყოველს შემთხვევაში კარგია, რომ ჩვენი ქვეყანა და ხალხი ევროპამ გაიცნოს...

* * *

დღევანდელს ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის, გამართული იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხის-ტყაოსნიდამ“—ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მოიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან.

* * *

ამ ჟამად ჩვენ ქალაქში იმყოფება აგრეთვე მეორე არა ნაკლები გამოჩენილი პირი—მხატვარი ზიჩი. ის მოსულა ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსის პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ სურათებისათვის; დახატოს აგრეთვე ზოგიერთი სურათები ბუნებისა, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აწერილი.

* * *

სიამოვნებით ვაუწყებთ გურულებს, რომ ის ხმა ვითომც გურიის ეპარხიის გაუქმება გარდაწყვეტილი არის, ხმა რომელიც ჩვენში ვავრცელებული იყო, ტყუილი გამოდგა: სინოდს კანტორას ჰქონია ამ დღეებში კრება და ამ კრებას, თვითონ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ეგზარხის იოანნიკის წინადადებით, ამო-

---

## «დროების» ფელეტონი, 21 ოკტომ.

### თეატრის ქრონიკა

ქართული წარმოდგენა, 17 ღვინობისთვეს.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 17 ღვინ.

ბ-ნო რედაქტორო,

დიდის სიამოვნებით გატყობინებთ შემდეგს სასიხარულო მოვლენას. იარმუკის გათავების შემდეგ, აქ დარჩა რამდენიმე ვაჭარი, რუსული ტრუპპის ნაწილი და რამდენიმე ქართველი.

რაღაც საოცრებით აქვე მოხდა ქართული წარმოდგენა და, სწორედ საკვირველია, იმისთანა თანაგრძნობა აღმოუჩინა მას თითქმის ყველა ხალხოსნობამ გარდა ქართველებისა.

ჩვენ დავთვალეთ დამსწრე საზოგადოება: იყო 9 რუსი—ნაშთენნი ადრინდელი ტრუპპისა; ორკესტრის ნაშთენნი 6 იტალიელი, 4 სომეხი, 2 თათარი და ერთი ქართველი.

თუმცა დამსწრე საზოგადოება ასე მცირე იყო, მაგრამ ჩვენმა ტრუპპამ მაინც გადააჭარბა დღეს თავის ნიჭს.

თამაშობდნენ „დაქცეულს ოჯახს“ და ვოდევილს „საქალებო ვაგონი“.*) რადგანაც ამ წარმოდგენაზე ერთი ქართველი-ღა დაესწრო,**) ამიტომაც ვიმედოვნებ თქვენის მკითხველებისათვის უინტერესო არ იქნება წარმოდგენის დაწვრილებითი ამბავი.

„დაქცეული ოჯახის“ შინაარსი:

ახალგაზდა თავადის ქალის მაიკოს ქმარმა—თავადმა ინდომ რამდენიმე წელიწადი ბედნიერად იცხოვრა თავის ცოლთან. ამასობაში მათ ეზრდებათ გულის გასახარებლად 7 წლის ვაჟი ცუცა. მათს სახლშივე დგას ინდოს დაი მართა, კეთილი გულის ქალი, რომელსაც ძალიან უყვარს თავის ძმა და განაგებს ოჯახს, რადგანაც „კნეინა“ მაიკოს არ სცალია ამ გვარი წვრილმანებისთვის! მაიკოს უნდა საზოგადოებაში გართობა და სოფელში ყოფნა კი ერთობ აღარდიანებს და მწუხარებით მოაგონებს ხოლმე თფილისში ქეიფიან ცხოვრებას. ამ დროს მათ გაეცნობა ახალგაზდა ყმაწვილი ა. ბლეერაძე, რომელსაც იყვარებს კნეინა მაიკო. აღკრძალული კავშირი მათი სწარმოებს თვით ინდოს სახლში, და ერთხელ, როცა ინდო თავის ოთახიდამ გამოდის, ჰხედავს, რომ მიჯნურები ერთმანერთს ჩაჰკვრიან....

ინდოს წამოექომაგება სემინარიის მასწავლებელი პლატონ ტურიაშვილი, რომელიც უმჟღავნებს მაიკოს მისი მოქმედების სისაძაგლეს, რადგანაც სუსტი გულის ინდო ვერ ჰბედავს ცოლთან მოლაპარაკებას. ამის შემდეგ, შეწუხებული თავადი ძალას ატანს თავის კეთილ გულს და სახლიდამ აგდებს „კნეინას“. წინად ნაგრძნობი ყველაფერი უახლდება ინდოს, ყველაფერი მძიმე ტვირთივით აწვება ეხლა მას, გულს უჩუყებს და სიმწრით აქვითინებს...

ამით თავდება პირველი მოქმედება.

მეორე მოქმედება სწარმოებს თბილისში, მდიდრულად მორთულ სადგომში, რომელიც ბლეერაძეს დაუქირავებია მაიკოსათვის. „კნეინა“ შეჰხარის თავის თავისუფლებას, მაგრამ იმას უკვე მოყირჭდა სიცოცხლე. ის გრძნობს რაღაც დაუკმაყოფილებლობას. თურმე დედობრივს გრძნობას დაუძლევია თავმოყვარეობითი ტრფობა. ეს გრძნობა განკურნებს მას. ამავე გრძნობის ზედ-მოქმედებით შორდება ის თავის საყვარელს. მამასთან დარჩენილის ლვიძლი შვილის ნახვა მისს ოცნებას შეადგენს. ამისათვის ის მიჰმართავს თეკლე ბურტყლაძის შვილს მაქსიმეს, განებივრებულს და მოსულელოს, რომლის დაქორწინება მართასთან დედა-მისსა ჰსურს. მაქსიმე მივა და შეეხვეწება პლატონს მაიკო ნახეო. პლატონი თავისი კეთილი გულით უარს ვერ იტყვის და მიდის მაიკოსთან.

მაიკო უმჟღავნებს მას თავის გატეხილი გულის ხვაშიადს და სთხოვს ერთ წამს მაინც მაჩვენე ჩემი შვილიო. პლატონი მონოლოგში ხსნის სიცოცხლის უმიზნობას, და მაიკოსგან ჩადენილის დანაშაულობისთვის სასჯე-

*) ალბათ პატივცემულს ემბეს კავშნოვის თვალთ-მაქცობა უნახავს და ჰგონია ქართულ ტრუპპას 17 ღვინ. ნიჟნი-ნოვგოროდში გაემართოს წარმოდგენა. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ესვე ტრუპპა იმავ დღეს დასახელებულს პიესებს თამაშობდა ჩვენს თბილისში.

რედაქც. შენიშვნა.

**) უკაცრავად, სადირექტორო ლოჟაში 30-მდე კაცი იჯდა, მგონი სულ ქართველები. ესენი იმ რიგად იმალებოდენ ლოჟაში, რომ ვერ ვიცანი ვინ-დავინ იყვნენ.*)

*) პატივცემული ემბე შემცდარია: სადირექტორო ლოჟაში 30-მდე კაცი ვერ დაეტეოდა.

რედ. შენიშვნა.

ურჩევია სამი კანდიდატი (სამეგრელოს ვიკარნი ეპისკოპოსი ბესარიონი—დადიანი, არხიმანდრიტი მაკარი და არხიმანდრიტი გრიგოლი—დადიანი.—) და ეს სამივე კანდიდატი ეგზარხოსს წარუდგენია უუწმ. სინოდში, რათა მან ერთ ერთი ამათგანი ამოარჩიოს და გურიის ეპისკოპოსად დაამტკიცოს.

ჩვენ გვითხრეს, რომ ვიკარნი ეპისკოპოს პატივცემულ ალექსანდრეს და არხიმანდრიტ კესარიოსს კანდიდატობაზედ უარი გამოუცხადებიათ. მეორე ვიკარნი ეპისკოპოსის ვლადიკავკასიისა იოსების კანდიდატად წარდგენაზე თვითონ კანტორა არ გამხდარა თანახმა, რადგან რუსიაო და ადგილობრივი ხალხის არც ენა იცის, არც გარემოებაო. გვითხრეს აგრეთვე, რომ ზემოხსენებულს სამს კანდიდატში ყველაზე უფრო საფიქრებელია არხიმანდრიტის გრიგოლის (დადიანის) დანიშვნაო. ჩვენ პირველი გავიხარებთ გურიისთვის, თუ იმედი ასრულდა.

* * *

ფოთიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„ბუშინ-ღამ ფოთის ნავთსადგურში ცუდმა ამინდმა მოასწრო როსტოვიდან მოსულს დიდს ცეცხლის-გემს „კოდორს“, ღუზიდამ (იაკორი) მოჰგლიჯა და ბევრის წვალების შემდეგ მიახეთქა რკინის ხიდს (ქეცეს), რომელიც შიგ ახალ ნავთსადგურშია აშენებული და რომელსაც ახლა ანგრევენ. ამ ხიდისთვის რომ მიუხეთქებია, ოთხი ბოძი შეუმტვრევია, გემი შიგ შემჭდარა ხიდში და ხიდი ზევიდან დასწოლია.

„ხსენებულს გემში 40,000 ფუთი ტვირთი არის, ზოგი სტრახში შეტანილი, ზოგი არა. მთელი ზარალი, როგორც ისმის, 100,000 მანეთამდის იქნება.

„დღეს ამინდი დაწყნარებულია, გემს სცლიან; ორი საბარგე სარდაფი გემისა წყლით სავსეა, დანარჩენები კი მშრალია. მაშინის მხარე გატეხილია“.

* * *

ფოთიდამვე გვწერენ, რომ ჩვენი კლუბის საქმე ძალიან ცუდად მიდისო, იქნება დიდი ხნის სიცოცხლეც აღარ ჰქონდეს, თუ ესე იმოქმედეს წევრებმა და სტარშინებმა, როგორც დღემდინო: როდესაც ფულია საჭირო, ვაჭრები და მცხოვრებლები მაშინ კი უნდათ და როდესაც კლუბის შესახებ საზოგადო საქმის რამის სჯა არის, მაშინ არც კი ვისმეს აუწყებენ წევრებსა. პირველს იანვრიდან ბევრი ვაჭარი და მცხოვრებნი მოახსენებენ უარს წევრობისას ჩვენს კლუბსა.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

ლეჩხუმი, 10 ოქტომბერს. ყველაზედ უფრო საყურადღებო ამბავი ამ ჟამად ჩვენს მაზრაში გახლავსთ საეკკლესიო მამულების, სახაზინო უწყებაში გადასვლის დროს, კერძო პირების მამულების შეტნევის თაობაზედ აღდგენილი უთანხმოება. ეს უთანხმოება იმ ზომაზედ მივიდა, რომ ჩვენ უადგილოდ არ მიგვაჩნია დღეს მარტო ამ საგანზედ ვებაასოთ ჩვენს მკითხველებს.

როგორც მოგეხსენებათ, მთელი იმერეთის გუბერნიის სამონასტრო და საეკკლესიო მამულები შეისყიდა ხაზინამ, შეუერთა სახელმწიფო მამულებს. სამაგიეროდ ხსენებული მონასტრებისა და ეკკლესიების კრებულთ ხაზინამ დაუნიშნა ყოველწლიურად განსაზღრული ჯამაგირები ფულად.

ეხლა სახელმწიფო მამულთა მთავარი გამგეობა გზავნის თითოეულს მაზრაში თავის წარმომადგენელებს და იბარებს მემამულებსა. ერთი ამისთანა წარმომადგენელი ჩვენს მაზრასაც ეწვია წასრული აგვისტოს თვის უკანასკნელს რიცხვებში და შეუდგა მამულების ჩაბარებას შემდეგი საშუალებით:

თითოეული საზოგადოებიდამ მოიწვიეს ხალხი და ამოარჩევიეს მათ რამოდენიმე პირები, უფრო ეკკლესიის ნაცვალნი და მოსამსახურე პირები, და ამათ მიანდვეს ახსნა საეკკლესიო მამულების სამზღვრებისა. ამორჩეული პირები არ დაუფიცებიათ. ესენი გაიმძღვარეს წინ და მოჰყვენ მამულების ჩაბარებას. მოსამზღვრეთ, (მამულის მეპატრონენი ზოგი უწყებით მიპატიჟებული და ზოგიც ისე), რომ გაიგეს, მივიდნენ თავ-თავიანთ ადგილზედ და დაესწრნენ, იმ აზრით, რომ სამზღვარი არ გადაეწიათ მათ კუთვნილ ადგილში. ზემოხსენებულ გამგეობის წევრს თან ჰყვანდა ყველა შემთხვევაში ადგილობრივ ადმინისტრაციის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აბარებდა მას იმ ადგილებს, რომელსაც ცალიერი სიტყვით იტყოდენ ამორჩეულნი პირები.

ამ ამორჩეულმა პირებმა, როგორც მთელი ჩვენი მაზრის მამულის მეპატრონენი ამტკიცებენ, არ აჩვენეს სიმართლით: უმეტესი ნაწილი ისეთი ადგილები სთქვეს საეკკლესიოდ, რომ არა თუ დამამტკიცებელი საბუთები აქვს მაზედ ეკკლესიას, რომ მას ეკუთვნოდა იგი, არამედ არავის გაუგონია, რომ ისინი ოდესმე თქმულიყოს ეკკლესიის კუთვნილებად.

ამ გარემოებამ, ამ ჭეშმარიტების გვერდის ახვევამ გამოაღვიძა ჩვენი მაზრის მემამულენი, განუღვიძა მათ გრძნობა თავიანთ სამფლობელო მამულების დაცვისა. ყველა თავ-თავიანთ ადგილებზედ სდგანან ყველანი საბუთებს ადგენენ უცხოვარის დროიდამ მათ და მიკუთვნილ ადგილებზედ. მაგრამ მაინც ამორჩეულ პირების სიტყვამ თავისი გაიტანა, თუმცა მათს გადაჭარბებას სამზღვარი აღარა აქვს.

ზოგიერთ შემთხვევაში ეს გადაჭარბება იმ წრემდის მიდის, რო თვით ეკკლესიის მოსარჩლენი—ბლაღოჩინებიც კი გაკვირვებაში შეყავს, და უარს-ყოფენ, ამბობენ, რომ მათ ის ადგილები, რომელთაც დღეს აჩვენებენ, საეკლესიოთ არ გაუგონიათ. მაგრამ მაინც ყველა ის ადგილები, რომელიც მათ სთქვეს, ჩაიბარა ზემოხსენებულმა ჩინოვნიკმა, მიუხედველად მეპატრონეებისაგან წარდგენილის აზრისა..

ამ გვარ გარდამეტებულ უსაფუძლო ჩვენებას ამორჩეული პირებისას აბრალებენ იმ გარემოებას, რომ საზოგადოდ დაბალი ხალხი გლეხკაცობა შეგონებული არისო, რომ რასაც თქვენ იტყვით, იმაზედ გათავდება საქმეო, და რაც ადგილები თქვენი სიტყვით ამოჩნდება სა-

ლისსისასტიკეს. მაიკო ეეედრება გაიგოს მისი დედობრივი-გულის გრძნობა, რაც გინდა დანაშაულობა მიუძღოდეს მას. ქნეინას მიუყვანებენ შვილს. გულის ამჩუყებელი სცენაა დედის და შვილის შეყრა... ამ დროს იღვიძებს კაცობრიული საუკეთესო გრძნობანი.

თუმცა დედამ აღთქვა, რომ შვილს რამდენიმე წამის მეტს არ მოვაცდეევინებ ჩემთანო, მაგრამ ეელარ შესძლო იმის ასე მალე მოშორება. პლატონი მიდის და მაიკო მოსამსახურეს უბრძანებს ვინც მოვიდეს ნურავის მიიღებო. ცრემლ-მორეული ეხვევა თავის ცუცას და ამბობს:.... „არა, ვინც უნდა მოვიდეს ჩემს შვილს არავის დავანებებ.“

მესამე და უკანასკნელი მოქმედება ხელ-ახლავ სოფელშია. მართა სწუხს ძმის ტანჯვაზედ. ინდო გრძნობს, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია მას, რომ აღარ ღირსს მისი სიცოცხლე და იწყებს მეგობრებთან წერილების წერის დათავებას. საწერს სტოლზე ის წააწყდება სამართებელს... შემაცდენელი გარემოება ერთობ ძლიერია... ერთი მოქნევა სამართებლისა და ყველაფერი გათავდება... მეტს ეელარ შეხედავს დამცინვარე სახეებს, ეელარ მოისმენს ავ-ენათა სიტყვებს და ოჯახის გაუპატიურების აზრიც აღარ შეაწუხებს. მაგრამ იმდენად უყვარს ცოლი და სურს არ შეაშინოს დაი, რომ იგი ამჯობინებს იმისთანა მიყრუებულს მინდორზედ მოიკლას თავი, სადაც მისი გვამის ნახვა აღარ შეეძლოსთ, და ამ ნაირად მისი სიკვდილი მისს ცოლს მაიკოს არავინ დასწამოს. ამ აზრით ის გარბის, მაგრამ კარებში დაეჯახება პლატონს... ხანგრძლივი სიჩუმე. ინდო ხელიდამ აგდებს სამართებელს. პლატონი უსაყვედურებს თავის მეგობარს: იქნება აღარ გრწამს ღმერთი? განა ეჭვიცა გაქვს იმის განუზომელ მოწყალებაზე?“ ინდო მიუგებს: „განა მოწყალებას ვითხოვ იმისგან? მე ვთხოულობ მხოლოდ სამართალსა, სამართალს!..“

გრძელს მონოლოგში პლატონი ამტკიცებს ინდოს ცოდვას. უხსნის იმას, რომ იმაზედ უბედურნიც არიან ქვეყანაზედ. თავის ცხოვრების მოთხრობის დროს პლატონი ამბობს: „—შენ იყავი რამდენიმე წელიწადი ბედნიერი, გყავს შვილი და სხვა. მე კი უბედურს ვინ შემიყვარებს. მეც მიყვარს მაგრამ საფლავში უნდა ჩავიტანო ჩემი სიყვარულიო.“ ბოლოს მიჰმართავს ინდოს რჯულებრივს გრძნობას, სრულიად ამშვიდებს იმას და გზავნის ოთახში მოსასვენებლად. ჩინებული სცენაა შემდეგი: მართას ყური მოუკრავს მათის ლაპარაკისათვის და გამოტყუებს პლატონს მისი სატრფოს სახელსა. მკითხველი მიხდება, რომ ჩუმი, კეთილის გულის მასწავლებელს ჰსურს საოჯახო ბუდის გაკეთება მართასთან, რომელსაც აგრეთვე უყვარს პლატონი. ეს სცენა ჩინებულად აასრულა ქალ. კორინთელმ კ. ყიფიანთან.

დრამმის ბოლო მზადაა. მაიკოს მოჰყავს შვილი და შენდობას სთხოვს ქმარს. შვილის სიყვარულისა და რჯულებრივის გრძნობის წყალობით ცოლ-ქმარნი შერიგდებიან.

ორი მოქმედნი პირნი: თეკლე და და მაქსიმე მხოლოდ სხვა მოქმედთა პირების ხასიათების ასახსნელად არიან გამოყვანილნი და პიესის მსვლელობაზე ზედ-მოქმედება მაინცა-და-მაინც არა აქვთ.

ვიწყებთ როლების ასრულების დაფასებას.

ალ.—მესხიევის შესახებ ჩვენ გავახსენებთ მკითხველებს „დროების“ № 214 *)თქმულს. ჩვენ ვამბობდით, მიუხედველად მისი თამაშის ნაკლულევანებათა, (რომლებზე ჩვენი აზრი მაშინ ვერ გამოვთქვით), რომ შევნიშნეთ მისი გამოცდილება. ეს იმან დაამტკიცა ინდოს როლში. ამ დაფასებაში, სიტყვა სგამოცდილება“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „გრძნობიერი.“

მისი თამაშის უკეთესი მომენტები იყო: პირველ მოქმედებაში, როცა ის ისმენს პლატონის საყვედურს თავის ცოლთან და ბრაზი მოდის განაჩენის სიმკაცრით. შემდეგ პირველი აქტის დაბოლოვება ტირილით. მესამე მოქმედება თითქმის სულ-მთლად კარგად იყო ასრულებული. სცენამ სამართებლით და მოგონებამ ცოლზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინეს. მაგრამ ბ. მესხიევმა ერთი დაუხედველობა ჩაიდინა, რომელიც ძლიან მავნებელია დრამმულის როლებისათვის. თამაშობის დროს ის მთელს თავის არსებას უმორჩილებს როლსა. საშინელი მოკრება ყველა თავის ძალ-ღონისა ძლიერს მომენტებში იტაცებს იმასაც და საზოგა-

---

*) „დებიუტანტის (პირველად, გამოსაცდელად სცენაზე გამოსულის) ალექსანდრე მესხიევის შესახებ ჩვენ ჯერ გარდაწყვეტილ აზრს ვერ წარმოვთქვამთ. ჩვენ გავიგონეთ, რომ იმ დღეს ის შეუძლოთ იყოვო, და ამით აიხსნება, რომ ბ. მესხიევი ზოგიერთ სიტყვებსა და ფრაზებს არ ასრულებდა და საზოგადოთ როგორღაც უმართებულოდ ეჭირა თავი სცენაზე. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ მეოთხე მოქმედებაში თამაშობის დროს ეტყობოდა, რომ ის გამოცდილი აქტიორია.“

ეკკლესიოთ, ის გადავა სახაზინოთ და ხაზინა ყველას თქვენ მუქთად დაგირიგებსთო! აი ამიტომ დახვიეს ხელი და რაც საუკეთესო ადგილები იყო, ყველა საეკკლესიოდ აჩვენესო.

რამდენად სწორი და საფუძვლიანი არის ეს ხმა—იმაზედ არას ვიტყვით ჩვენ აქ გარდა იმისა, რომ თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში რაღა საქმეა, რომ გლეხნი ნამდვილ სიმართლეს არ აჩვენებდენ.

ასეა თუ სხვა გვარი აზრით, საქმე კი ისე წავიდა, რომ ჩვენი მაზრის ზოგიერთი კუთხეების საუკეთესო ნაწილები მამულებისა ჩავარდა დავაში, და ვინ იცის ეს დავა და საჩივარი ხაზინასა და კერძო მემამულეთ შორის როდის დაბოლოვდება. რაუშავს იმ მემამულეს, რომელსაც დავა და საჩივრები შეუძლიან, და ადგილიც იცის სად მიიქცეს, რომელსაც გონებითი ძალა და მატერიალური შეძლებაც ნებას აძლევს სდიოს ამ საქმეს, ის ადრე თუ გვიან თავისას გაიტანს. საბრალონი არიან ის მცირე მემამულენი, რომელთაც არც გონებითი და არც ნივთიერი მხარე არ აძლევს შემწეობას სდიოს ამ საქმეს, რომლებიც მარტო მიწის მუშაკობაში არიან განვითარებული და ამგვარი დავიდარაბისა არა გაეგებათ-რა: ესენი ამ თავითვე ხელ-აღებული უნდა დარჩნენ, რადგან მათ დავის თავი არა აქვსთ. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელები უფრო უმრავლეს რიცხვს შეადგენენ, ჩვენში. ჩვენ თვით ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ ზოგიერთმა მცირე მემამულეებმა, როდესაც მათ ადგილებს შემოუარეს აღმორჩეულმა პირებმა და შეიტანეს საეკლესიოდ, თავის გამოცხადებაც ვერ გაბედეს! ისევ ის გვირჩევნია დაიკარგოს, სად შეგვიძლია იმის დევნა და ჩივილიო, ვის აქვს იმის ხარჯის თავიო, ხაზინასთან დავა ჩვენ რა ხელს მოგვცემსო და სხვა! და ამ ნაირად დაიბანეს ხელი.

საზოგადოდ ჩვენი მაზრის მიწის მეპატრონენი, და განსაკუთრებით ზოგიერთი კუთხეებისა, მაგალითად ცაგერის, ნაკურალეშის და ოყურეშის,—ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ამ გარემოებამ; აღარ იციან როგორ მოიქცენ.

რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ უმაღლესის მთავრობის ნება და განკარგულება არ არის, რომ ნამდვილ საეკკლესიო მამულებს მიაწერონ კერძო პირის კუთვნილება, ანუ გახადონ საეკკლესიოდ ის ადგილები, რომელიც თავის დღეში არ ყოფილა, ამის გამო ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ორიოდე სიტყვით წარმოვთქვათ ჩვენი აზრი და შეხედულება ამ საგანზედ.

ჩვენის აზრით, რარგანაც საეკკლესიო მამულთა გამგებელს გარკვევით და დამტკიცებულის საბუთით არ გარდაუცია ხაზინისათვის მამულები, თუ რა-და-რა მამულები შეადგენენ ეკკლესიის შეუცილებელ საკუთრებას, —ამისათვის საჭირო იყო უფრო სხვა გვარი წყაროებით ახსნილიყო ხსენებული მამულები. აუცილებელი საჭირო იყო, ჭეშმარიტების აღსადგენელად, ეკლესიის მხრით წარმოდგენილიყო, თითოეულის ადგილის შემოვლის დროს, დამამტკიცებელი წერილობითი საბუთი, თუ ვისგან და რა უფლებით ითვისებს ეკკლესია, რა საფუძლით ეძახის თავისათ ხსენებულს მამულს: უნდა იყოს თითოეულს მამულზედ გუჯრები და სხვა ამ გვარი საბუთები, რომელიც უნდა მოთხოვნილიყო მაშინ, როდესაც ეკკლესია და მიწის მეპატრონენი ერთი-მეორეს ედავებიან, და ეკკლესია კი ამ სადავო მამულს ანიჭებს მეორე უწყებას. აქ საკმაო როდია მარტო ის, რომ ორიოდე პირმა სთქვას ესა-და-ეს ადგილები ეკუთვნის ეკკლესიასო, არ არის ეს უძლეველი საბუთი.

დარწმუნებული ვართ, ხსენებული საშუალება უფრო სწორს და ნამდვილს აღმოაჩენდა, და მაშინ საქმე ადგილობრივ გათავდებოდა, ხაზინასა და კერძო მემამულეებს შუა არავითარი დავა და საჩივრები არ ასტყდებოდა, რომელიც ზარალის მეტს არავითარს სარგებლობას არ მოუტანს არც ხაზინას და არც საზოგადოებას.

მაგრამ ჩვენში ხშირად ისე არ მიდის საქმე, როგორც რიგია...

ქაისხოსრო გელოვანი.

---

## წერილი რედაქტორთან

მ. ხ. თქვენი გაზეთის მე-215 №-ში დაბეჭდილი იყო ვიღაც ქახელის შენიშვნა, რომ ვითომ მას ოცდა ექვსი დღის განმავლობაში არ აძლევდნენ პლატფორმას თავის ხის მასალები, გადასატანათ, ვითომ სტანციის უფროსი ატყუილებდა მას, ჰპირდებოდა: აი დღეს და აი ხვალაო, რომ ვითომ ცარიელი პლატფორმები ბევრი იყო და მიდიოდნენ ფოთისაკენ, მაგრამ მას კი არ აძლევდნენ და ბრალოს, ვითომ ქრთამსაც სთხოვდნენ, თუმცა ბ. ქახელი არ უჩვენებს—ვინ სთხოვდა მას ქრთამს.

ვინც რკინის-გზის საქმეების ამბავი არ იცის, ადვილად დაჯერების ამ ბატ. ქახელის შენიშვნას, ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ ბ. რედაქტორო, მისცეთ ადგილი ამ ჩემ შენიშვნასაც თქვენს გაზეთში.

ყოველ პირს, რომელსაც რამე აქვს გადასატანი რკინის გზით და რომელიც შევიწროებული იქნება სტანციის უფროსისაგან, შეუძლია იჩივლოს გზის ზამგესთან ანა და ფ.,-თ. რკინის-გზის უფროსთან და ყოველი სამართლიანი საჩივარი არ დარჩება მოუკითხავად დამნაშავესაგან.

მართალია, ბ. ქახელი უცდიდა პლატფორმას 25 ენკენისთვიდამ 12 ღვინობისთვემდინ. ამ პლატაფორმის თაობაზედ მე მუდამ დღე ვწერდი დეპეშებს ფ.-თ. რკ.-გზ. მოძრაობის უფროსს, მაგრამ, რადგანაც ამგვარი პლატფორმები ყველანი დაჭერილი იყო, ბ. უფროსიც ვერ აკმაყოფილებდა ჩემ თხოვნას.

აი ხვალ აი ხვალ მოგცემ პლატაფორმას მეთქი, მე სულაც არ ვეუბნებოდი ბ. ქახელს, რადგანაც პლატფორმების გამოგზავნა რკ. გზ. უფროსის საქმეა; მე მხოლოთ ვეუბნებოდი იმას, რომ პლატფორმები შეაძლება ხვალ მოვიდეს და შეიძლება ერთი კვირის შემდეგაც გამოზავნონ-მეთქი.

ბ. ქახელი ამბობს, პლატფორმების იყო და იგზავნებოდა ფოთისკენო;

---

დობასაც. მაგრამ დადებითი ძალნი საჭირო მომენტებში ხმარებულნი ამ მომენტების გათავებისათანავე თავდება და შუათანა ადგილებზე გადასვლა უჭირდება აქტიორს დაღალვის გამო. ამ მომენტების გათავების-თანავე თითქოს შეჩერდა მოქმედებაო: აქტიორს ეკარგება საზოგადოება და ეს უშლის შთაბეჭდილების ერთობას. ბევრს ეს ნაკლულევანება აქტიორის ღირსება ეგონებათ, რომელიც როლში შედის. მაგრამ თეატრი ყოვლის-პირველ ხელოვნებაა. არ შეიძლება თუ სურათს ხატავ, მარტო კაცის პირი, ხელი და ერთი ხე დახატოთ და დანარჩენი არაფერი დაასრულოთ.

ვინც კი ამ სურათს ნახავს, ყველა უკმაყოფილოდ დარჩება. ამის აცილება შეიძლება, გვგონია, ამ ნაირად: დაე ბ. მესხიევმა გამოიცვალოს თავის შეხედულობა თამაშზე. ვარწმუნებთ იმას, რომ ძლიერი თამაშის ადგილები იმას ყოველთვის გამოუვა, იმიტომ რომ ამას ნერვები იზმენ. როცა როლს ამზადებს, ყურადღება მიაქციოს შუათანა ადგილების ვითარებათა ასრულებას. მაშინ ის აღარ დაიბნევა. ეს სასარგებლოა სცენისათვისაც და სცენის ძალის დასაზოგავადაც, რაიცა სრულიად მეტი არ იქნება ჩვენი ჯერ-ჯერობით სუსტი ტრუპისათვის.

ქ. ყიფიანი გულ-კეთილ პლატონის როლში ძრიელ ტიპიური (სახიერი) იყო და შეგვიძლიან ბეჯითად ვსთქვათ, რომ მან თავის თამაშით ბევრი უშველა ბ. მესხიევსაც და საფაროვისასაც. მაგრამ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოდ ორი ნაკლულევანება: ა) დრამატიულ როლებში შეუძლებელია როლის სუსტად დასწავლა, საყველიპუროდ. საჭიროა მთლად პიესის შესწავლა. ქარგია კიდევ, იგი იმდენი მოსაზრების პატრონია, რომ პირველ სიტყვის გაგონების უმალვე, მთელი წინადადების აზრის შეგნება შეუძლია; მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა და თამაშიც გაუადვილდებოდა, უკეთუ პიესას და როლს შეისწავლიდა. ბ) მეორე ნაკლულევანება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მუდამ მეტად წინ სცენაზედ დგას და ამისათვის ელაპარაკება სხვებს გვერდზე მიღრეცითაც კი არა, ხელების უკან გადაქნევით. ამიტომაც მისი ჩვეულებრივი ქცევა—აქეთ-იქით ხელების ქნევა და მხრების აყრა არის. ის რომ შუა სცენაზე დგებოდეს ყველა ამ ნაკლულევანებათა გაასწორებდა.

ქალბ. საფაროვისამ ძალიან მარ-თებულად აასრულა თავის როლი. ნამეტურ ჩინებულად მოუხდა მეორე მოქმედება შვილთან სცენებში და მონოლოგში, როცა ის განმარტოებულია „სულის მდგომარეობით“.

ბ. ვ. აბაშიძე მოსულელო კაცის როლში მიუბაძავი იყო.

მომიტევოს რაიოკმა, როცა ქალბ. ზაბუნიაზე ვლაპარაკობ და უნდა ვსთქვა იმის თამაშის სამწუხარო ნაკლულევანებებზე: წარმოდგენის მეორე დღეს იყო ექიმთა კონსილიუმი. თურმე **საქალებო ვაგონის** თამაშის შემდეგ იმან თავი დაუმტვრია ქოლგით და მუშტით, ეჭვის გამო, თავის ქმარს ონოფრეს (აბაშიძეს) და ორი მკერდი ჩაუმტვრია **დაქცეულს** ოჯახში პლატონს (ქ. ყიფიანს)! მართალია მუშტი-კრივი რაიოკს ძალიან მოსწონს და ამიტომაც ტაშსაც ძრიელ უკრავს, მაგრამ ზაბუნიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ თეატრი მუშტი-კრივის ასპარეზი, მახათას მთა კი არ არის, არამედ ტაძარი ხელოვნებისა, სადაც ერი ეჩვევა ყველაფერს ჩინებულსა.

**საქალებო ვაგონი** გვარიანად იყო ასრულებული. მოლოდინის წინააღმდეგ **საფაროვისამ** ვერ გამოიჩინა ჩვეულებრივი სიცხოველე, ალბად იმიტომ რომ დრამატიულის როლის შემდეგ დაღლილი იყო. მაგრამ ზაბუნიას ეპყრო მთელი სცენა, არავის არც ალაპარაკებდა და არც დგომის ნებას აძლევდა.

—

წარმოდგენის შემდეგ მე გავიგონე ორი ზღაპარი და ვერ გავიგე რად მითხრეს ისინი:

პირველი იყო ერთს ნემენცზე, რომელსაც უნდოდა თავის ცხენი უჭმელობსთვის მიეჩვია და როცა იმ დღემდი მივიდა, რომ ცხენმა არაფერი სჭამა, იდღესასწაულა თავის ხელოვნების დღე. მაგრამ მისი დღესასწაულობა ხანგრძლივი არ იყო. ცხენმა ფეხები გაჭიმა.

მეორე ზღაპარი თათარმა მიამბო: იყო დაარა იყო რა, ერთი ქალიშვილი იყო. მისი შერთვა სურდა ერთს რაინდს, რომელსაც იმ ქალიშვილმა რამდენიმე გამოცდა დაუნიშნა. რაინდმა ყველაფერი მისი მოთხოვნილება აასრულა, მაგრამ ქალიშვილი მაინც არ გაჰყვა.

დაჟინებითი თხოვნის შემდეგ ამიხსნეს, რომ პირველი ზღაპარი არის საზოგადოებაზე ნათქვამი, რომელიც ტრუპპას აშიებს და მეორე კამიტეტზე, რომელმაც დახმარება და აბონიმენტის გამართვაც აღუთქვა ტრუპპას, მაგრამ აგერ ორი მართლაც გვარიანი წარმოდგენა იყო და მას კი ჯერ ხელიც არ გაუნძრევია.

—

როცა ამ წერილს ვათავებდი თფილისიდამ მივილე დეპეშა, რომელიც მაუწყებდა, რომ თქვენც ამ ნაირივე წარმოდგენა გქონიათ. არ ვიცი ეს რას უნდა მიეწეროს! იქნება ეს ქაზენოვის მანქანება იყოს...

ემბ.

მაგრამ მე კი არ შაძლეედნენო; პლატ-ფორმები, მართალია, იყო მაგრამ ეს უბრალო პლატფორმები იყო რომ-ლებითაც გადააქვთ ქვა, მიწა და სხვა ამგვარი მასალები; ტყის გადასატანათ კი სხვაგანსაკუთრებული პლატფორმე-ბია დანიშნული.

5 მანეთისა, თუ ერთი თავი შაქრის ქრთამათ თხოვნაზედ, თუმცა ბ. ქახე-ლი კი არ იხსენიებს, ვინ სთხოვა ეს ქრთამი, დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ბ. ქახელი სტყუის, რაც ცხადათ დაინახება სასამართლო-ში ამ ცილის-წამების გარჩევაზედ.

ბეჟათუბნის სტანციის უფროსი
ზ. ლევაშოვი.

ბეჟათუბანი 16 ღვინობისთვეს.

# განცხადებანი

### ხალასი ანგარიში

### კავთისხევის დამზოგველ ამხანაგობისა

**მღ. დავით ბარნაბოვისაგან და ალ. ცხოველაძისაგან ყრილობის მინდობილობისამებრ დუქნის დაკეტვის წინა დღისა ე. ი. 1881 წ. 2 ივლისსა.**

| | |
|---|---|
| დუქანში საქონელი არის ქალაქში ნასყიდობის ფასებით . . . . | 320—61½ |
| მონება არის . . . | 60— „ |
| ყასაბთან არის . . . | 130— „ |
| ქასაში არის ნაღდი . . | 100— „ |
| ნახევარ წლის პატენტი წინეთ გადახდილი . . | 10— „ |
| დუქნის ქირა წინეთ გადახდილი . . . . | 40— „ |
| წინანდელ დახლიდარზედ მიხეილ მიხეილის ძე ქანდელაკზედ დარჩენილი . . . . | 106— „ |
| ნისია წევრებზედ . . | 218—46 |
| დახლიდრებზე ილია ქავსაძეზედ და ზაქარია ქოტეტოვზედ | 186—28 |
| კიდევ ყასაბზედ არის . | 15— „ |
| | 1186—35½ |

ეს არის თავნიც და მოგებაცა.

წილის ფული კი იყო 830 მ., მომოსაწყობი 35 მ. აქედან თითონ წევრებისაგან არის გატანილი 218 მ. —26 კ. ნახევარ წლის პატენტი და დუქნის ქირა წინეთ გადახდილი 50 მ. მიხეილ ქანდელაკზედ —106 მ., ილია ქავსაძეზედ და ზაქარია ქოტეტოვზედ—186 მ.—28 კ., ყასაბთან არის 145 მ.—სულ—705 მ. —28 კ. ეს ფული არ არის მოქმედებაში, დაფანტულია. დარჩება 481 მ. —7 კ., რომელიც შესდგება კასაში 100 მანეთიან და რაც დუქანში აღმოჩნდა საქონელი 320 მ. და ვეჯი—60 მ.

დუქანი როცა დაიკეტა 100 მანეთისა კიდევ საქონელი იყო ნაყიდი ფული ხელად არ იყო; ზოგიწევრებზედ არის დაფანტული, ზოგი დახლიდრებზე, ამისათვის გამგეობის წევრებმა დაადგინეს: ნისია გატანილი წევრებისაგან გამოებარათ თავნში, მაშა სადამე 218 მ. გამოვრიცხოთ 830 მ.—613 მ. დანარჩენებს დაურიგდეთ საქონელი, ისიც თავნში და რაც ფული არის აქეთ-იქით დარჩენილი დახლიდრებზედ, გადახდეს სასამართლოს წესით და დაერიგოთ წევრებს თავნის დაკვალებით.

ჩვენც აგრე მოვიქეცით საქონელი გაუნაწილეთ და ყველანი დავაკმაყოფილეთ, რასაკვირველია იყო ბევრი ყაყანი: ფული შემოვიტანე, ფული უნდა წავიღოვო! ამ მოყაყანეთაგანი გახლათ „დროების“ კორრესპონდენტი. 20 ენკ. 1881 ანგარიში რო წავიკითხეთ იმან ვერა გაიგორა ტვინის სისუსტის გამო, და მოროხა რაც კი პირზე მოადგა ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ მოვიხსენიო, რომ იმ „კორრესპონდეტის“ წილის ფული 10 მ. ჰქონდა შეტანილი და ნისიათ ბევრჯელ 15 მ. წაუღია, მაშა სადამე ამ საზოგადოების დამარღვეველის მიზეზი თითონ გახლავს(?) და არა სხვა, როგორც თავის კორრესპონდენციაში იხსენიებს(??)

იოსებ ცხვეთაძე

27 ენკენისთვეს 1881 წ.

---

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ იჯარით გაცემისათვის დანიშნულია ვაჭრობა: პირველი 29 ამა თვისას ნავთლუღის ნევთის წყაროებზედ, ვადით 15 დეკემბრიდამ 1881 წლისა 15 დეკემბრამდინ 1884 წლისა; მეორე ვაჭრობა იქნება 3 მომავალ ნოემბერსა, ორ პარომზე მნაცაკანოვის ხიდის ახლოს, ვადით 1 იანვრიდამ 1882 წ. 1 იანვრამდე 1885 წლისა.

პირთ, რომელთაც ჰსურსთ აიღონ ზემოხსენებულნი ნევთის წყაროები და პარომები იჯარით, შეუძლიან ამაზედ ყოველ გვარი პირობები შეიტყონ გამგეობის კანცელარიაში. (3—1)

---

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს, რომ 27 ამა ღვინობისთვესა, დილის 12 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა ცხენების გარდასახადის იჯარით გაცემაზედ, ვადით 1 იანვრიდამ 1882 წლისა 1 იანვრამდე 1883 წ., მსურველთ ამ გვარის იჯარის აღებისა, შეუძლიანთ ყოველ გვარი პირობები შეიტყონ გამგეობის კანცელარიაში. (3—1)

---

საზოგადოების სურვილის გამო თეატრ-მაქსი.

## კაზენოვი

დარჩება და კიდევ მისცემს სამს წარმოდგენას სამშაბათს და ხუთშაბათს. (2—2)

---

Продается по случаю отъѣзда совсѣмъ новая мебель на 5 комнатъ вмѣстѣ и отдается порознь, цѣна всей 600 р. Адресъ Михайловская улица домъ Григорьева спроситъ Никифорову. (3—2)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხუღქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—24)

---

ი. მურადოვის

### წიგნის მაღაზიაში

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—6)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% [illegible] ვიდრე სხვაგან. იქვე [illegible] 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—33)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯვანას გიარები. (100—43)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.** (100—64)

---

### ტაქსია

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 ოქტომბრიდამ 15 ნოემბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი